

მაია სახოკია,

*ქართველურ/ინდოევროპულ ენათა მორფოსინტაქსურ-მორფონოლოგიური
დიაქრონიულ-ტიპოლოგიური პარალელები*

ნაშრომში თავმოყრილია ავტორის სხვადასხვა დროის დიაქრომიულ-ტიპოლოგიური კვლევებისა და ღრმა მორფოსინტაქსურ-მორფონოლოგიური რეკონსტრუქციების წამყვანი შედეგები ქართველური (ქართული) და ინდოევროპული (რიგი სხვადასხვა ძველი და ახალი ენის) მასალის შეპირისპირების თვალსაზრისით. აქ ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული განხილვადი მონაცემები და ავტორისეული ანალიზის შედეგები გარკვეულ თემატურ ბმაშია თამაზ გამყრელიძის სამეცნიერო მემკვიდრეობასთან და ეხმიანება მის დასკვნებს. ნათქვამში იგულისხმება: ა) ერთის მხრივ საკუთრივ თავად ბ. თ. გამყრელიძის რიგი ნაშრომების თემატიკა (სადაც ავტორი ეხება იე/ქვ მორფოსინტაქსისა და მორფონოლოგიის საკითხებს); ბ) მეორეს მხრივ, იე/ქვ ტიპოლოგიური სიღრმისეული პარალელების თემათა დამთხვევა თუ სიახლოვე ჩემსა და ბ. თ. გამყრელიძის შრომებში; გ) და ბოლოს, განსაკუთრებულად გამოყოფა კვლევათა ისეთი დასკვნებისა, როცა ავტორები ერთმანეთს ეთანხმებიან, როცა ანალიზის შედეგები ურთიერთმხარდაჭერილია; მათ შორისაა საკითხები, რომელთანაც დაკავშირებით, ჩვენი შრომები იხსენიება ბ. თ. გამყრელიძის შრომებში, რაც დიდწილად ამყარებს იე/ქვ მორფოსინტაქსურ-მორფონოლოგიური პარალელების გამოვლენის მეცნიერულ საფუძვლიანოვას. ამგვარ პარალელთა ქვემოთ ერთობლიობა ძირითადად აგებულია აღწერილი სქემისა და მოსაზრებების მიხედვით. ამ ერთობლიობაში ლოგიკური სურათია.

სხვადასხვა ინდოევროპული (იე) და ქართველური (ქვ) ენების ნაწილობრივი (პარციული) ტიპოლოგიური შეპირისპირების საფუძველზე, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გარკვეული ბალტურ-ქართული შეპირისპირებითი მონაცემები. შედეგებში თვალნათლივია, რომ ფორმალური მორფოსინტაქსური კონები შეიძლება განმეორდეს სხვადასხვა ენობრივ დონეზე ერთდროულად,- როგორც ორიგინალური დიაქრონიული და როგორც ტიპოლოგიურ-უნივერსალური ფენომენი. თავის დროზე, და შემდგომაც, ჩვენს მიერ ქართულთან (ზოგადად ქართველურთან) შეპირისპირებისას, განხილვად ენათა რიცხვში მოქცეული იყო ისეთი ენები, როგორცაა: ძველი სპარსული, ძველი სომხური, საშუალო სპარსული (ფალაური), ახალსპარსული, სლავური ენები (პირველ რიგში რუსული), ბალტური ენები (ლიტვური და ლატვიური) – ლიტვური და ლატვიური, და სხვა (Сахокия 1985, სახოკია 1998, სახოკია 2007; Sakhokia 1997/1998, Сахокия 1991). ამჯერად, თვალსაჩინოებისთვის, ინდოევროპულ (იე) ენათაგან მოცემულ ნაშრომში ძირითადად გამოყენებული იქნება თანამედროვე ბალტური ენების მასალა, მით უფრო იმიტომაც, რომ სწორედ უკანასკნელის მონაცემებზეა აგებული გარკვეული მორფონოლოგიური ძირობრივი კვლევებიც.

ბალტური (იე) და ქართული (ქ) ენების კონსტრუქციების, ფორმალური მორფოსინტაქსური მწკრივების, მორფოსინტაქსემების, მორფონოლოგიური ერთეულებისა და ელემენტების ნაწილობრივ-ტიპოლოგიური (პარციულ-ტიპოლოგიური) პარალელები მოიხსენიება აქ, მოცემულ ნაშრომში, პირველ რიგში ორივე, – ტიპოლოგიური უნივერსალიისა და დიაქრონიული ფაქტების თვალსაზრისით, მაგრამ ზოგიერთი მონაცემი თუ ფაქტი (მაგ., მორფონოლოგიური კვლევითი წიაღსვლები) შეიძლება მოიაზრებოდეს აგრეთვე სხვა ლინგვისტურ სფეროშიც: თუ დავუშვებთ ჰიპოთეტურ ვარაუდს, რომ მოძიებული ტიპოლოგიური მონაცემები შეიძლება იყოს ინტერეპრეტირებული აგრეთვე როგორც ე. წ. მაკროენობრივი ოჯახის სიღრმისეული გენეტიკური ან არეალური ურთიერთმიმართების გრამატიკული ნიშნები,- იქნება ეს ნოსტრატული მაკროენობრივი ოჯახი და ნოსტრატული სტრუქტურული გრამატიკა, თუ სხვაგვარი მაკროოჯახური

განლაგებანი. პირველ რიგში, ყველა შემთხვევაში, აქ იგულისხმება კონკრეტულად იე/ქვ დასაშვები ურთიერთმიმართებანი სიღრმისეულ დონეზე (Лингв. Реконстр. 1984, 1989, 1994; Сравн. Ист. 2003; Gamkrelidze 2001; Nostratics 1998; Ностратика 1977; Старостин 1989, 1999; Конф. Дыбо 1991; Конф. III 1988; НЗЛ 1988, 1972, 1981, 1982; Сравн. Ист. 1990; Иллич-Свитыч 1971, 1971/1976, 1984; Бурлак, Старостин 2001; Старостин, Дыбо, Мудрак 2004).

როგორც ითქვა, მოცემულ წერილში, ტიპოლოგიის გათვალისწინებით, იე მასალად, მაგალითის სახით განიხილება სწორედ საკუთრივ ბალტური თანამედროვე ენების ფაქტები (ლიტვური, ლატვიური), რაც ავტორის პირადი კვლევების შედეგებს ასახავს. წარმოდგენილია ქვემოთმოყვანილი, ტიპოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ რელევანტური მორფოსინტაქსური ბლოგები.

1. პოსესიური ერგატიული (ირიბსუბიექტური) აღწერითი პერფექტები

ქართულში ადრევე გამოყოფილი გვაქვს (სახოკია 2008, Sakhokia 2003) ორი ახალი (ახალქართული) აღწერითი პერფექტი, რომელთაგან ერთ-ერთის ლათინური ფორმულაა *eius factus est opera*. ესაა ტიპი (1): „ჩემი გაკეთებულია საქმე, შენი დაწერილია წიგნი, მისი გადაღებულია ფილმი“ და ა. შ. პროტოტიპები გვაქვს ძველ და საშუალო ქართულშიც, – თანდებულებანიც (მაგ., თანდ. –გან) და უთანდებულოც.

მრავალ შრომაში აღინიშნებოდა და შეისწავლებოდა ჩვენ მიერ სხვადასხვა იე ენათა განსხვავებულ დიაქრონიულ–რეტროსპექტულ დონეებზე რეალიზებული მსგავსი, იდენტური ტიპოლოგიური მორფოსინტაქსემები (ძველი სპარსული, ძველი სომხური, სლავური ენები (რუსულის ჩათვლით), ბალტური ენები, ლათინური და სხვა) (Сахокия 1985, Sakhokia 1997/1998). როგორც აღინიშნა, აქ ამჟამად შედარებით ფართოდ შევხებით საკუთრივ ლიტვურ და ლატვიურ ენებს, პირველ რიგში, – ზემოთმოყვანილი ტიპის პერფექტულ მორფოსინტაქსემებს. ლაპარაკია ლიტვური ენის კონსტრუქციებზე მოდელით: S gen Agens+Past Pass Part+O nom. მაგალითები:

ლიტვური (ლიტვ.):

(2) šitie eksponatai mokinu surinkti ეს (მრ. რ. ნომ) ექსპონატები (მრ. რ. ნომ.) სტუდენტების (მრ. გენ.) შეგროვილია (მიმდ. პას. მრ., კოპ.); šitas svecias musu kiestas ეს სტუმარი (მხ. ნომ.) ჩვენი (13. გენ. მრ.) დაპატიჟებულია (მიმდ. პას. მხ., კოპ.); tavo išpirštas jaunikis შენი (მხ. გენ.) გარიგებულია (მიმდ. პას. კოპ.) საქმრო (მხ. ნომ.);

ლატვიური (ლატვ.):

(3) teva iestadito jauno koku māmīs dārguļi ახალი ხე; Brālā pirktais gredzens ძმის ნაყიდი ბეჭედი; manu vustu detas alās ჩემი ქათმების დადებული კვერცხები; S gen Agens+Past Pass Part+O nom.

ბალტური ენობრივი მასალა ამოკრებილია სპეციალური შესატყვისი სამეცნიერო ლიტერატურიდან, სახელმძღვანელოებიდან და გრამატიკის კურსებიდან (39: Александровичюс 1989; Fennel, Gelsen 980, 887; Schmalstieg, Dambriunas 1966, 1972, 264, 260–266, 261, 158, 122–123; Грамматика 1985, 292–321, 291–292, 289–290, 287–288, 282–283, 219, 220, 215–221, 216–217, 459, 322–325, 447, 323, 596–621, 415–670, 162; Стелле, Страуме, Лиепиньшиш, 1989; Сташайтене 1989; Schmalstieg, Dambriunas 1980; Klimas, Schmalstieg, Dambriunas 1966/1972, 264, 260–266, 261, 158, 122–123; Либерис 1988; Gaivanis, Liberis, Scharnas 1989). ლ. პალმაიტის ბრუნვით ფორმებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ კომპარატივისტულ შრომაში მოჰყავს ასევე შემდეგი ნიმუში: *cia tevu dirbta, dirbama* „აქ მშობლების, მამების ნამუშევარი ("he re the fathers (or: parents) have worked, work") (ა)“ (Palmitis 1984, 129). სხვადასხვა ლიტვურ და ლატვიურ გრამატიკულ კურსებში ზემო, მოყვანილი კონსტრუქციები მოხსენიებულია როგორც *პასიური, გენიტიური აგენსით* გაფორმებული პერფექტული გამონათქვამები (ეს გენიტივი შესაძლოა წინდებულურიც იყოს, როგორც ლატვ. წინდ. ar)

(Александрович 1989, 413; Грамматика 1985, 162; Fennel, Gelsen 1980, 894, 883, 827, 412–416, 877–883, 887). ასეთ კონსტრუქციებში ტიპოლოგიურად მსგავსი ქართული მორფოსინტაქსემებისთვის შემოკლებული კოპულა („ყოფნა“ ზმნა) სავალდებულოდაა წარმოდგენილი, მაგრამ იე ენებში კოპულა შეიძლება იყოს ჩაშვებული (ელიპსირებული, გამოტოვებული) და მხოლოდ იგულისხმებოდეს. მოყვანილ და განხილვად ბალტურ მორფოსინტაქსემებს გააჩნია ტიპოლოგიური პარალელები მრავალ იე ენაში, რაც ჩვენს მრავალ შრომაშია წარმოდგენილი სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის ჩათვლით (Сахокия 1985, Sakhokia 1997/1998). ამ პარალელების კვლევას მივყავართ სიღრმისეულ რეტროსპექტულ–დიაქრონიულ და რეკონსტრუირებად დონეებამდე მოგვიანო პროტოინდოევროპული (*პიე) დონის ჩათვლით; „მოგვიანო“ *პიე ენობრივ სიბრტყეში ჰიპოთეტურად იგულისხმება თ. გამყრელიძე-ვ. ივანოვის მონაცემების შემდგომი ეტაპები (Martinet 1989; Степанов 1989; Степанов 1988, 46–65; Степанов 1988ბალტ., 116–130).

ზოგიერთ ბალტისტიკურ გამოკვლევაში მორფოსინტაქსემები მოდელით S gen Agens+Past Pass Part+O nom განიხილება როგორც *ახალი პერფექტები*, ხოლო გენტიური აგენსი (S gen Agens), – *პერფექტულ აგენსად, აგენსურ გენტივად*. (Schmalstieg შმალსტიგი 1980, 1982, 1984; შმალსტიგი, 1987/1988, 1–113, 189–192, 229–231, 194–195; შმალსტიგი, 1986, 161–172; Schmalstieg 1989; Balkevichius, 1991; Ambrazas 1979, 250–254). ეს აგენსური გენტივი ერგატივივიზაციის ერთ–ერთი სახეობაა და მთლიანობაში კონსტრუქცია ერგატივიზებულია, ერგატიულია, – პოსესიური ერგატიული პერფექტების სახეობაა. წამყვანი პოზიციები ბალტური პოსესიური ირიბსუბიექტური (აგენსური) პერფექტების ამგვარ კვალიფიკაციაში ვ. შმალსტიგის შრომებს უჭირავს. იმავდროულად მრავალია სხვა იე ტიპოლოგიური პარალელების იდენტური შეფასება–კოდიფიკაციაც. მათ შორის, ეს ვითარება ფართოდაა წარმოდგენილი მოცემული წერილის ავტორის შრომებშიც, სადაც აგრეთვე წარმოდგენილია შესაბამისი დიდძალი ბიბლიოგრაფიაც (სახოკია 1985, 1998, Sakhokia 1997/1998, 2013). ერგატიული პერფექტებისთვის განმსაზღვრელად მივიჩნებთ *აუცილებელი და საკმარისი ნიშნის* სახით სუბიექტის (აგენსის) ნებისმიერ ირიბ ფორმას (ბრუნვას ან სხვა ელემენტს). ერგატიული და ნომინატიური (ან აბსოლუტური) კონსტრუქციები ოდენ ზედაპირულ ურთიერთტრანსფორმებს წარმოადგენენ ერთი დონის გრამატიკული არგუმენტაციით. თავისთავად გრამატიკული არგუმენტების დონე უპირისპირდება არგუმენტაციის სემანტიკურ დონეს (ამ ფართო თემებზე იხ. მოკლედ: Гамкрелидзе, Иванов 1981, 1984 ОЛЯ, 1984, 1995; სახოკია 1985, 1998, Sakhokia 1997/1998, 2013). ამ კონტექსტში გასახსენებელია აქვე გ. მაჭავარიანის შრომა სვანური ერგატიული ირიბი ბრუნვის შესახებაც („აჭავარიანი 1960). ამ დიდ თემას აქ მხოლოდ მოკლედ შევხებით.

მოცემული ბალტური მორფოსინტაქსემების ტიპოლოგიური კვალიფიკაციისთვის გადაწყვეტია აგრეთვე ი. მასლოვის კვლევები სლავური (კერძოდ, რუსული) ენების „აღწერითი პოსესიური პერფექტების“ შესახებ (Маслов 1984). შედეგად ვადგენთ:

ზემომოყვანილი ბალტური კონსტრუქციები განეკუთვნებიან პოლიგენეტური იე პოსესიური პერფექტების კომპლექსს, რომელთა ტიპოლოგიური პარალელებიც სხვა ოჯახების ენებშიც (მაგალითად, ქართულში), უნივერსალიების ხასიათს სძენს აღნიშნულ მორფოსინტაქსურ ბლოკებს. დაწყებული იმ *პიე ეტაპიდან, რომელიც ვ. შმალსტიგია რეკონსტრუქციებშია წარმოდგენილი, პოსესიური პერფექტები დაფიქსირებულია ვრცელი არეალური დიაპაზონით სხვადასხვა დიაქრონიულ დონეზე, როგორც უძველეს მემკვიდრე ენებში (ლათინური, ძველი სპარსული, ძველი სპარსული და სხვ.), ისე ციკლური სახით, – თანამედროვე იე ენებშიც. უკანასკნელთაგან ბალტური და სლავური ენები ამ თემაში წამყვან პოზიციებზეა (დიალექტების ჩათვლით). მე ვეთანხმები ვ. შმალსტიგს, რომ საერთო–იე და *პიე უზუსის პოსესიური გენტივი, დართული პასიურ მიმღეობას (პრედიკატულ ბირთვს), ფუნქციობს როგორც ერგატიული აგენსი; მთლიანობაში, ასეთი კონსტრუქცია კი განხილვადია ერგატიულ პოსესიურ მორფოსინტაქსემად მოდელით: . S

gen Agens+Past Pass Part+O nom. ამგვარივე კონსტრუქციები, იდენტური სლავურ კონსტრუქციებთან ტიპით: *U nego postavlena izba*, ცნობილია უგრო-ფინურ ენობრივ ოჯახშიც (Orr 1989, 1–21; Veenker 1967). ამდენად, სახეზეა ფართო ტიპოლოგიური ფონი.

დასკვნის სახით, მე ვუწოდებ ყველა ზმნურ პოსესიურ მორფოსინტაქსემას ერგატიულ ან ერგატივიზებულ პოსესიურ პერფექტებს. შესაძლოა, ეს მორფოსინტაქსური კონეხი გაგებული იყოს როგორც ნოსტრატული ენების გრამატიკულ სტრუქტურათა კომპლექსის კუთვნილი საერთო პოლიგენეტური უზუსიცი. ყველა შემთხვევაში, სამსჯელოა იე/ქვ ენათა მორფოსინტაქსური ბლოგების სიღრმისეულ ტიპოლოგიურ ურთიერთმიმართებაზე.

2. ირიბი პოსესიურობა: ქონა–ყოლის მორფოსინტაქსემები

როგორც ადრევე აღვნიშნავს, ქართული (და ზოგადად ქართველური) სპეციალური ქონა–ყოლის ზმნები (*Verba Habendi*) აგებულია ირიბი პოსესიურობის მოდელზე (Сахокия 1985, სახოკია 1998, Sakhokia 1997/1998, სახოკია 2008) *est mihi: S datPoss+OpssNom+V esse*. იე ენებშიც ფართოდ ფუნქციობს დატიური (მიცემითბრუნვიანი ირიბსუბიექტური) ან გენტიური (ნათესაობითბრუნვიანი ირიბსუბიექტური) მოდელები: *est mihi, eius est*, მაგ., რუს.:

. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ირიბი პოსესიურობის მოდელი აღდგენადია და აღდგენილია თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის *პიე რეკონსტრუქციების მიხედვით (Гамкрелидзе, Иванов 1984, 288). ბალტურ ენებშიც ეს მოდელი კარგად მუშაობს.

ირიბი პოსესიურობის ტიპი ნორმატიულია ლატვიურისთვის: *S datPoss+OpssNom+V esse*.

(4) *man ir nams* მე (ჩემდა, მიც. მხ.) არის სახლი (ნომ.)= მე მაქვს სახლი.

ამ მოდელის გარშემო სახილველია სხვადასხვა კუთხით ფართო სპეციალური ლიტერატურა, რომელიც დიდწილად წარმოდგენილია ამ წერილის ავტორის შრომებში (Сахокия 1985, სახოკია 1998, Sakhokia 1997/1998).

ლიტვურში ირიბი პოსესიურობა მუშაობს მიუხედავად სპეციალური ქონა–ყოლის ზმნისა (*tureti*), რომელიცაა ნომინატიური წყობისა: „მე მაქვს“. ირიბი პოსესიურობის ფორმები უკავშირდება „ყოფნა“ ზმნას (კოპულას): ზმნა *buti* „ყოფნა“ და მე–პ. მხ. რ.–ის ფორმა *YRA* „არის“. ეს ეკანასკნელი ერთეული მრავალმხრივ ცალკე მსჯელობის საგანია (იხ. ქვემოთ მუხლი 4) და შეესატყვისება მსუყე კვლევებზე (Endzelins 1971, 250–251, 186–187, 191–192; Fraenkel 1962/1965/1966, 1962/1966, 18, 405–406, 446, 813–819, 843; Fraenkel 1952, 27–35; Rozinas 1988, 246–253; Rozinas 983/1984; Гамкрелидзе, Иванов 1984, 288–289). პირველ რიგში უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან სახელური (შედგენილპრედიკატული, შედგენილშემასმენლიანი) და ირიბქონებრივი მორფოსინტაქსემები. სახელური (შედგენილპრედიკატულია) შემდეგი:

(5) *mano sesuo (yra) mokitoja; kas jis yra? aš studente* ჩემი და მასწავლებელია (არის); ვინაა ის?; მე სტუდენტი (ვარ).

გარკვეულ კონტექსტებში *yra* „არის, –ა“ გამოიყენება ირიბი პოსესიურობის ანუ სემანტიკურად ქონა–ყოლის აღმნიშვნელი მორფოსინტაქსემის კოპულად, რომელიც შესაძლოა იყოს ელიპსირებული (გამოტოვებული, ჩაშვებული), მეტად – დიალოგებში:

(6) *kieno šita knyga?, - mano; Ar šita knyga tavo?, - taip, musu; kieno yra šitas žurnalas?, - musu; cia yra mano; kieno jis yra?, - mano; tas žurnalas yra mano (tavo); šitas knygos yra musu o anos ju (jusu, jo, jos); kieno šita skrybeli, - šita skrybeli Laimos; Jo gražus balsas; cia kambarys yra mano//cia yra mano kambarys.* „ვისია ეს წიგნი?–ჩემი; შენია ეს წიგნი?–დიახ, ჩვენია; ვისია ეს ჟურნალები?–ჩვენი; ეს ჩემია; ვისია იგი?–ჩემი; ეს ჟურნალები ჩემია (შენია); ეს წიგნები ჩვენია, ხოლო ისინი–თქვენი (მათი, მისი); ვისია ეს კაბა?–ეს კაბა ლაიმასია; მას ლამაზი ხმა აქვს; ეს ოთახი ჩემია; ეს არის ჩემი ოთახი, ეს ჩემი ოთახია“.

გასარჩევია ერთურობისგან ირიბქონებრივი და ატრიბუტულ-ადიექტური სინტაგმები: *cia kambarys yra mano „ეს ოთახი ჩემია [ეს ოთახი მე მეკუთვნი]“* და *cia yra mano kambarys „ეს ჩემი ოთახია, ეს არის ჩემი ოთახი“*; კვლავაც შევადართ: *Ar cia musu jurnalas? taip, tai musu jurnalas „არის ეს ჩემი ჟურნალები?-დიახ, ეს ჩემი ჟურნალებია“*. აქ იკვეთება ორი ფაქტორი: სიტყვათა რიგი და კითხვა-პასუხი.

ატრიბუტულ-ადიექტურ სინტაგმებს ვაკუთვნებთ სახელდების მორფოსინტაქსემებსაც: „ჩემი სახელია, ჩემი სახელი არის“. აქ შდრ. ქართულიც: ისეთივე სხვაობაა.

(7) *Mano vardas Birute; Ar tavo vardas Maryte?* „ჩემი სახელი(ა) ბირუტე, შენი სახელი მარიტეა? “.

კონტექსტურად გამოიყოფა აღწერითი ირიბქონებრივი პოსესიურობის გენტიური მოდელის კიდევ უფრო მკვეთრი ნიმუშები, როგორცაა:

(8) *Mano yra naujas telefono numeris „ჩემ (ჩემდა) არის ახალი ტელეფონის ნომერი=მე მაქვს ახალი ტელეფონის ნომერი“*.

რაც ეხება დატიურ (მიცემითბრუნვიან ირიბსუბიექტურ) მოდელს , რომელიც ნორმატიულია ლატვიურში (ტიპი: *man ir nams „მე მაქვს სახლი“*) , ლიტვურშიც მუშაობს პერიფერიული მოდელის სახით: *man yra/man buvo S dat poss (S obl)+V esse*. იგი აშკარად გამოიყენება ზმნა „ქონა-ყოლა“ სპეციალური ზმნის *tureti (Verba Habendi)* - ს ალტერნატივად, რასაც კარგად ავლენს ფართო კონტექსტის პრაგმატულ-სემანტიკური ანალიზი და სპეციალური სემანტიკურ-გრამატიკული ბლოგების გამოყოფა. ასეთი მკვეთრი ბლოგია, მაგალითად, ასაკის გამოხატვის სემანტიკური ჯგუფი (იხ. მონამაცემები გრამატიკის კურსებიდან) (ალექსანდრავიჩუს 1989, 30–31).

(9) *kai man buvo penkeri metai, kiek tau metu (yra - Omitted) o jam; kiek metu jums, man yra dvidešimt „როცა მე ვიყავი ხეთი წლის; რამდენი წლისა ხარ შენ, და ის? რამდენი წლისა ხარ? მე ოცი წლისა ვარ“*.

აღსანიშნავია, რომ ასაკის სემანტიკური ჯგუფის ვითარება ტიპოლოგიურად იდენტურია რუსულშიც, ტიპი: *мне тридцать лет*.

ფართო კონტექსტიდან გამოიყოფა სხვა მიცემითბრუნვიანი პოსესივებიც:

(10) *kiek jam temperaturas, man ryte buvo aukšta temperatura, man yra temperatura, man yra turbūt angina, jam yra gripas „რამდენი აქვს მას სიცხე?მე დილით მქონდა მაღალი სიცხე; მე სიცხე მაქვს; მე ალბათ ანგინა მაქვს; მას გრიპი აქვს; šiandien iki pietu man yra paskaitos, o po susirinkimas დღეს მე მაქვს ლექცია სადილამდე, შემდეგ კი კრება“*.

ამდენად, აქ განხილულია თვალსაჩინო ბალტური მასალა, როგორც ნიმუში იე/ვ ენების ტიპოლოგიური პარალელიზმისა. ზოგადად, ირიბი და პირდაპირი ქონებრიობა (პოსესიურობა) განირჩევა სხვადასხვა ფორმებით მსოფლიოს მრავალ ენაში. ამ შემთხვევასი საგულისხმობა ირიბი პოსესიურობის (ქონა-ყოლის) კონსტრუქციის დაფიქსირება *პიე ენობრივ დონეზე, რაც ეთანხმება ჩვენი კვლევების შედეგებს (იხ. შდრ.: (Гамкрелиძე, Иванов 1984, 288).

3. დატიური აფექტური მორფოსინტაქსემები (*Verba Sentiendi*).

ბალტურ ენებში აგრეთვე დაძებნადია ირიბსუბიექტური აფექტური (გრძნობა-გუნების, მენტალობის) მორფოსინტაქსემები (*Verba Sentiendi*). ხერხდება ამ ბლოგის იდენტიფიცირება ნაწილობრივი ტიპოლოგიური შესატყვისობის სახით ქართულთან (ქვ ნორმა), ინვერსიული ტიპით: „მტკივა, მშია, მთბილა, მცივა, მწყურია“ და მისთ..მრ. რაც მთავარია, მრავლადაა ტიპოლოგიური პარალელები იე ენებში (მაგ., რუსულში). ესაა

დატიური (მიცემითბრუნვიანი ირიბსუბიექტური მოდელები ფორმულით: S dat experiencer+Nom/Adv ან S dat experiencer+V (Verba Sentiendi, Verba Mentalis). პრედიკატული ბირთვი ზმნურიცაა (როგორც რუს. мне нравится) და სახელურ-სახელზმნურიც (როგორც რუს. мне охота, мне хорошо). ლიტვურში გვაქვს ზმნური გამოთაქვამები დატიური ექსპერიენცერით (S dat exper) განმცდელით: Sdat exp+V sent, ან S dat exp+Adv/Adj +Vesse (ეს მეორე მოდელი ფორმალურად კვლავ გრამატიკული პოსესიურობის ბლოგებს და კატეგორიებს განეკუთვნება). მაგ.:

„(11) man atrodo, man reikia, mums reikia, man truksta, man patiko, man rodos, man jie patinka, man patinka šita mergaite, Rimui patiko dovona, man tinka šita spalva, visiems malonu, man yra sunku, ten mums buvo idomu, tau yra lengva, man jau geriau, man buvo labai svarbu, man buvo ramu, ka jums skauda, Birutai skauda galva; man skauda galva, gerkle.... მეჩვენება (მეფიქრება, მგონია, მჭირდება, ეს ფერები მიხდება, ეს მეძნელება, ეს მეადვილება, მე მომწონს ეს, ეს მესიამოვნება (მეამება), მაკლია, ეს მაინტერესებს, თქვენ გაინტერესებთ, ეს იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი, ჩვენ გაგვართო ამან (გვეხალისა), კარგად ვარ (მეკარგება), წყნარად ვარ (მეწყნარება), მე მომწონს ეს გოგონა, რიმუს მოეწონა საჩუქარი, მე ის მომწონს, რა გტკივთ?, ბირუტეს სტკივა თავი; მე მტკივა თავი, ყელი“.

არეალურად ბალტურთან დაახლოებულ სლავურ დიალექტებში, სადაც მუშაობს დატიური აფექტური ზმნურბირთვიანი მოდელი (ტიპი), ნაცვლად სახელურ-ადვერბიალური ტიპისა (ტიპი),- ითვლება ბალტურ მორფოსინტაქსურ ნასესხობად (Прохорова 1991, 1988, 1991მ). ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მოდელები ცნობილია როგორც ძალიან დამახასიათებელი ბალტურისთვის, კერძოდ ლიტვურისთვის - შდრ. ლიტ. man skauda (იხ. Александровичюс 1989, 195–198).

დატიური აფექტური ექსპერიენცერი ფართოდაა ცნობილია ჩრდილიკავკასიურ ენებშიც, ამ საკითხებზე დიდი ლიტერატურა არსებობს, სადაც მათ შორის, აფექტურობა მიჩნეულია ზოგი მკვლევარის მიერ გრამატიკულ კატეგორიადაც, თუმცა მათი არგუმენტირებული მოტივაცია სემანტიკაზე გადის. ასეთი მოსაზრება გამართლებულია სწორედ ექსპერიენცერთა (განმცდელ სუბიექტთა) გარკვეული ირიბი ბრუნვებით. უმეტესწილად ექსპერიენცერი ფორმდება დატივით ან გენიტივით, ხოლო ძველ სპარსულში გვაქვს ამგვარი დატივის ფუნქციით ირიბი აკუზატივიც, – აკუზატიური განმცდელი სუბიექტი, გრძნობა/გუნების ირიბი აკუზატივი (იხ. მეტი შრომებში: Сахокия 1985, სახოკია1998, Sakhokia 1997/1998; სახოკია 2011). აქ ამ საკითხს მეტად ვერ განვავრცობთ (*პიე მონაცემებისთვის შდრ. კვლავ Гамкрелидзе, Иванов 1984..1995).

4. ეტიმოლოგიურ-მორფოლოგიური წიაღსვლები ქვ//იე: ძირები და ფორმანტები

განხილულ მორფოსინტაქსემა ტიპოლოგიური კვლევისას გამოვლინდა ჰიპოთეტური, განხილვას დაქვემდებარებადი ფაქტებიც. მსჯელობა აქ გადადის სიდრმისეული მორფოლოგიური თუ ძირობრივი (ფუძისეული) რეკონსტრუქციების სფეროში. ქვემოთ მოკლედაა დასახელებული ტიპოლოგიურად შედარებადი მონაცემები, რაზედაც ჩვენამდე და შემდგომ, ჩვენს მერეც, არსებობდა თუ გაჩნდა შემდეგ რიგი მსუყე სპეციალური კვლევებიც (Gauthio 1909, 221–227; Fraenkel 1984; Palmaitis 1984, 1986, 1988; Станг 1963, 285–288; Топоров 1978; Нанр 1984; Периханиян 1983, 327, 373; Henning 1937; Джаукян 1982; Nyberg 1974, 1964; Horn, Hubschman 1356, 18; Худобашев 1938/1986; Ачарян 1973; Ambrazas 1979, 250–254; Bahrami 1369; Endzelins 1971; Rozinas 1988; Dehkhoda 1349; Расторгуева, Элельман 2000; ჩიქობავა 2000, 446–453; მახარაძე 2000/2004, 132–143), რომელიც ჯამში მხოლოდ ადასტურებს ჩვენს ჰიპოთეზებს თუ დაშვებად ტიპოლოგიურ

შედარებითობებს (სახოკია 1998, 2005, Sakhokia 2005/2006, 19–32). შეკუმშულად დასკვნების სახით, ვიტყვით:

ქვ ენებში, კერძოდ ქართულშიც, გვაქვს ძირი *რ „ყოფნა“ და ქონა–ყოლა ზმნებში თუ აღწერით პოსესიურ მორფოსინტაქსემაში (ქ. 'არს/არის, ვარ, ხარ' და ა. შ.); სვანურში სპეციალურ პოსესიურ ზმნაშიცაა ეს ძირი წარმოდგენილი (მირი, ჟირი, ხორი; *Hira, * ira); ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში *რ ძირი იკვეთება აღდგენად, რეკონსტრუირებად მონაცემებში (ონიანი 1989, 1998, 2000; ფენრიხი (Fanrikh), სარჯველაძე 2000, 375) ამდენად, სახეზეა *პქვ ძირი *რ (*R).

იე ენებში ჰიპოთეტური ტიპოლოგიური სამუშაო კვლევებისთვის ამ კუთხით წამყვანია ბალტური ენები: „ყოფნა“ ზმნა ლიტვურში YRA და ლატვიურში IR „არის/არს/ა/არსებობს“. სწორედ ამ ზმნათა *R ძირმა მიიპყრო დიდი ხნის წინ მკვლევარ ინდოევროპეისტთა ყურადღება, რის შედეგადაც დაიდო მრავალი სხვადასხვა იე ენის არაერთი სემანტიკური ველის გაზნეულ–მიმოფანტული ლექსიკური ჯგუფები. ამაზე დიდძალი ლიტერატურა მოიპოვება, რომელიც ძირითადად წინა სქოლიოებშია წარმოდგენილი. მოცემული ველებიდან და ჯგუფებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია რამდენიმე (მთელი რიგი) ერთეული: ბალტური: ლიტვ.YRA ლატვ.IR ლიტვ. AR, IR „არის; განა, ნუთუ, ხომ, კი, არ“; საერთობალტური *IRA; ირანული (პართული) IR „საგანი, ნივთი“ > სომხური IR „საგანი, ნივთი“; (Периханян 1983, 327, 373) საერთოირანული *AR „შეერთება, მიერთება, მიკავშირება“ (შდრ. ირ. rad; ard; arta;; „რიგი, მწკრივი; ფორმა, ყალიბი, აგებულება, აღნაგობა; სინამდვილე, ჭეშმარიტება, სიმართლე, წესი“); ავესტ./ფალ. (ავესტური/ფალაური, (ირანული)) EVAR, EVARIH-EVARIHA ნამდვილი, ჭეშმარიტი, სწორი, მართალი, სიმართლე“ (Bahrami 1356; Расторгуева, Эдельман 2000; Dehkhoda 1349; შდრ. Henning 1937); ახალსპარსული (ირანული) ARE, ARI, ORE „კი, ხო, დიახ, კარგი“ (Dehkhoda 1349); ბერძნული AR; ARA „შეერთება, მიერთება, მიკავშირება; აი, ეს, აი ის, ასეთი, მაშ“ (Toporov 1978; Станг 1963, 285–288; შდრ. Hamp 1984); ამათგან უმნიშვნელოვანესია: *პირ *AR და ბერძნ. AR „შეერთება, მიერთება, მიკავშირება“; მონაცემთა საფუძველზე აღდგენილია *პიე ძირი (საერთოინდოევროპული) *AR „შეერთება, მიკავშირება, მიერთება“ (Гамкрелидзе, Иванов 1984, 1995).

ჩვენ არაერთხელ მივმართეთ ქვ//იე *რ//(*R) ძირების თემატიკას ტიპოლოგიური შეპირისპირების ჭრილში (სახოკია 2005, Sakhokia 2005–2006, 19–32).

ინდოევროპული მონაცემების გარშემო მსჯელობას ამ თვალსაზრისით ბოლო ათწლეულებში დაედგა გვირგვინი: *პიე ში აღდგება *AR . ეს ელემენტი შეტანილია ტ. გამყრელიძე–ვ. ივანოვის ძირობრივი ღრმა რეკონსტრუქციების ინდექსში (საძიებელში) (Gamkrelidze, Ivanov 1995)

გამოთქმულია არეალური მოვლენის შესაძლებლობაც: *პქვ ფაქტების მოხვედრა *პიე მიგრაციულ სივრცეში, ინდოევროპულ ტომთა კავკასიაზე გადასვლების (რამდენიმე მიგრაცია) პროცესში (Palmitis 1984, 1984/1986, 1988)

ორივე ოჯახის ენობრივ ლექსიკურ ელემენტებში განხილვადი ძირების გარშემო ჯგუფდება ზოგადად შემდეგი გრამატიკულ–ლექსიკურ–სემანტიკური ერთეულები: არსებითი სახელი (მაგ., საგანი, ნივთი), ზედსართავი სახელი ან მიმღეობა (ნამდვილი, არსებული, მართალი), ზმნები (ყოფნა, ქონა–ყოლა), ნაცვალსახელები (მაგ., ეს, ასეთი, ამგვარი), ნაწილაკები ან შორისდებულები (მაგ., აი, აჰა, კი, არა) და სხვა (იხ. დასახ. ლიტ.).

ჯამურად, დასკვნის სახით, ყველა შეპირისპებული და განხილული (*პ)იე//(*პ)ქვ ერთეულთა საერთო სემანტიკური მწკრივი მისი ბირთვული არსით ასე გამოიყურება:

საგანი, ნივთი, არსებული, ფორმა; ყალიბი, აგებულება > არსებობა, ყოფნა, ეგ ზისტენცია > ქონა–ყოლა, ფლობა, პოსესიურობა > ნამდვილი, მიერთებული, შეერთებული, მიკავშირებული, მართალი > აი, კი; ხომ, განა, არ, ნუთუ, ; კი, ხო, დიახ; და.

და ბოლოს, კვლავ მნიშვნელოვანი ღრმა რეკონსტრუქციის ფაქტი: ბოლო ათწლეულებში დადგინდა *პროტოალთაური (*პალთ) ძირი *AR (იაპ. ARU, ARI) „ყოფნა“ „არის“ (შდრ. აგრ. თურქ. var „არის“ და სხვ. ალთ.) (Старостин, Дыби, Мудрак 2004).

ამრიგად, დაგროვილი ფაქტებისთვის დაშვებადია ენობრივ მაკროოჯახთა შედარებითობაც, საფუძველი არსებობს საკუთრივ. ნოსტრატული ენათმეცნიერების თვალსაზრისით ფაქტების განხილვისა. ერთია უტყუარი: სახეზეა, ზედაპირზე თვალნათლივ ძვეს ტიპოლოგიური შეპირისპირადობის თვალსაჩინო ენობრივი ფაქტები. საკუთრივ ბალტური ენებისთვის, – და ზოგადად ინდოევროპეისტიკისთვის; ამ უკანასკნელ მუხლში მნიშვნელოვანია სწორედ „ყოფნა“ ზმნათა სემანტიკური კავშირი პოსესიურობასთან, რაც გამოხატულია მორფონოლოგიურად, მორფოსინტაქსურად და ძირობრივი ღრმა რეკონსტრუქციითაც. ეს ემსახურება იე/ქვ მასალის კოდიფიკაციასაც.

იკვეთება სხვა მორფონოლოგიური ელემენტებიც, რომელიც ექვემდებარება მსჯელობას და განხილვას იე/ქა ტიპოლოგიის ფარგლებში ან ნოსტრატულ სივრცეში. კერძოდ, განხილვადია პირველი პირის მარკერთა და ნაცვალსახელურ ფორმათა ელემენტი *m (ქვ. მანის რიგი და აგრეთვე ნაცვალსახელური *მ; იე ენებში კარგად ცნობილი ფორმანტი) (Иллич-Свитыч 1971(Иссл.)). * m ელემენტი წარმოდგენილია ვ. ილიჩ–სვიტიჩის ლექსიკონში (Иллич-Свитыч, 1971–1976). ამ ელემენტთა იე/ქვ შეპირისპირებადობა საკმაოდ გამჭირვალეა.

ფართოდ სამსჯელოა აგრეთვე ელემენტი *N/*ნ: ა) იე – თვის ესაა მრავალი ენის ირიბ ბრუნვებში (გენტივში, დატივში) კარგად წარმოდგენილი, გამოკვეთილი ნაზალი ფორმანტი (მაგ., ირანულში, სლავურში, ბალტურში და სხვ.; ესაა ტიპები: manā, man, mano, меня, мне, мене და ა. შ.). ამ ნაზალურ ელემენტს უწოდებენ არქინაზალს და თვლიან გარკვეულ ირიბ ბრუნვათა მაწარმოებლად (Haudry 1980; იხ. მეტი წიგნში: Сахокия 1985, 161); ბ) ქვ–თვის პირველ რიგში განხილვადია მოთხრობითი (ერგატიული) ბრუნვის ფორმანტი *ნ ნაცვალსახელურ ფორმებში მა–ნ, ვი–ნ (ვი–ნ იგივე ნომინატივი); არის სხვა ჯგუფების ნ(*ნ) – ელემენტებიც: პირის ნაცვალსახელთა სრული ფორმები – *მენა, შენა, ჩვენა, თქვენა (შემორჩენილი დღევანდელი ქართულის ფორმებშიც, პირველი პირის გარდა); გარდა ამისა, მრ. რ.–ის სახელური თუ ზმნური მაწარმოებელი და სხვადასხვა ფუნქციის *ნ–ზმნური ელემენტები. ამათგან, ჩვენი აზრით, ყველაზე იოლი ურთიერთდასაკავშირებელია მა–ნ/ვი–ნ ფორმათა *ნ და პირის ნაცვალსახელთა *ნ (ერგატიული ტიპი: *მე–ნ–ა (ვ) კეთ–ე(ა)). (იხ. მეტი: Сахокия 1985, 161; სახოკია 2013, 299; სახოკია 1998, 153–178; შდრ. მ. სახოკიას ჰიპოთეზის შესახებ: იხ. Tuite 1988, 239; შდრ. სახოკია 1998, 178). სინამდვილეში ზემოდასახელებულ სხვადასხვა ნაზალურ ელემენტებზე უზარმაზარი ლიტერატურა არსებობს, რომელიც წარმოჩენილია ჩვენს ბევრ შრომაში (იხ. ბიბლიოგრაფია: Сахокия 1985; სახოკია 2013; სახოკია 1998–ში და სხვ.). აქ წყაროთა მხოლოდ მინიმალური რიგი სახელდება (ონიანი 1989, 148, 150–151; Гамкრелидзе, Иванов 1984, 254–255; Tuite 1988, 239; Сахокия 1985, 161; სახოკია 2013, 299; სახოკია 1998, 153–178; (იხ. მეტი: სახოკია 1985, 1998, 2013 და სხვ.)). აშკარაა, მხოლოდ ეს მოკლე ჩამონათვალიც ადასტურებს ქვ სხვადასხვა *ნ–ელემენტების განხილვადობას იე/*პიე არქინაზალი * N – ს მიმართულებით, შეპირისპირადობის თვალსაზრისით.

ყველა აქ წარმოჩენილი მორფონოლოგიური ელემენტი (რომელიც აქ მხოლოდ დასახელებულია), სინამდვილეში ღრმად შესასწავლ დიდ თემებს უდებს სათავეს.

ჯამურად, აქ შევეცადეთ თავი მოგვეყარა მოცემული წერილის ავტორის კვლევათა სფეროში და თვალსაწიერში არსებული იე/ქვ ტიპოლოგიურად საგულისხმო და შეპირისპირებადი მორფოსინტაქსურ–მორფონოლოგიური მონაცემებისთვის. თავის მხრივ, ასეთი ფაქტები თავის დროზე ფართოდ განიხილებოდა ბ. თ. გამყრელიძის აქტიური ჩართულობით, ზოგადად სამეცნიერო ფორუმებზე, სემინარებზე და მის შრომებში.

ლიტერატურა

- Александрович Ю. Литовский язык. (Вильнюс, 1989);
Ambrazas, V. *Lietuviu kalbos daliviu istorine sintakse*, (Vilnius, 1979), 250-254;
Ambrazas, V. *Lietuviu kalbos daliviu istorine sintakse. Historical Syntax of the Lithuanian participle*, (Vilnius, 1979), 250-254; და სხვა (იხ. მეტი მათი სახეობის შრომებში).
Ачарян, А. Этимологический словарь армянского языка. Ереван, 1973.
- Bahrami, E. *Dictionary of Avesta, Farhange Avesta*, Ed. F. Joneydi, (Balx, 1369), tt. I-II-III; E. Bahrami, *Dictionary of Avesta, Farhange Avesta*; P. Horn-Hubshmann, *Farhange Asase Eshteqaqe Farsi, Tarjomeye Jalalaleh (Farsi Dictionary)*, (Tehran, 1356);
Balkevichius, J. Genitivus Possessivus beasmebibese predikatinese konstruktiose, *VI Intern. Congr. on Baltistics*, Vilnius, 1991.
Бурлак С. А., Старостин Сергей А, Введение в лингвистическую компаративистику. Москва. 2001.
- Гайванис К., Либерис А., Шарнас В., Краткий литовско-русский словарь, *Trumpas lietuviu-Rusu kalbu zodinas*. Kaunas, Каунас, 1989.
Gauthio, R. La phrase nominale en finno-ugrien, *MSL*, t. 15, (Paris, 1909); 221-227;
Гамкрелидзе, Тамаз В., Иванов, Вячеслав. Вс., *Индоевропейский язык и индоевропейцы*, т. 1, Тбилиси, 1984.
Gamkrelidze, Tomaz., On linguistic paleontology of culture, *Orientalist*, I, G. Tsereteli Oriental Institute, Tbilisi, 2001, 49-53;
Gamkrelidze Tomaz, Viacheslav Ivanov, *Indo-European and Indo-Europeans*, Mouton de Gr., 1995.
Гамкрелидзе Томас, Иванов Вячеслав, Активная типология праиндоевропейского языка, Изв. АН СССР. ОЛЯ. 43. 1. 1984. 13-21.
Гамкрелидзе Томас, Иванов Вячеслав, Активная типология языка и происхождение праиндоевропейских именных парадигм. Изв. АН СССР. ОЛЯ. 40. 2. 1981. 119-126.
Грамматика литовского языка. Вильнюс, 1985.
- Dehkhoda, Ali Akbar., *Loqat-Nameye Zabane Farsi (Farsi Dictionary)*, Rasht, Tehran, 1349;
Джаукян Г. Б., Сравнительная грамматика армянского языка. Ереван. 1982.
Endzelins, L., *Comparative phonology and morphology of the Baltic Languages*, Mtn. Paris, 1971.
- Fanrikh Heinz, (ფენრიხი, ჰაინც), Sarjveladze Zurab (სარჯველაძე, ზურაბ), ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი *Kartvelur enata etimologiuri leksikon (Kartvelian Etimological Dictionary)*, Tbilisi, 2000.
Fennell, T.G., Gelsen, H.A. A Grammar of Modern Latvian; Mouton, Hague-Paris, N-Y., 1980.t.II.
Fraenkel, E., *Litauisches etimologisches Worterbuch, t. I-VII*, t. I, (Gottingen, 1962-1965-1966; 1962, 1966).

Fraenkel, E., Contributi alla Sintassi Baltoslava e Iranica, *Studi Baltici, A cura di Giacomo Devoto*, Lee Olshcki S. (ed.), NI, IX, (Madrid, 1952); 27-35;

Hamp, E. YRA, ISSLP, The Reconstruction of particles and syntax, *J. Fisiak, Historical Syntax*, B., N.-Y., Amsterdam, 1984.

Haudry, J. La syntaxe des desinences en indo-europeen. BSL. LXXV. f. 1. 1980. 131-166.

Henning, W. R., A list of Middle Persian and Parthian words, *BSOAS*, London, 1937.

Horn-Hubshmann, P. *Farhange Asase Eshteqaqe Farsi, Tarjomeye Jalalaleh (Farsi Dictionary)*, t.I, Tehran, 1356.

Иллич-Свитыч Влалимир М. Личные местоимения *mi «МИ» Я и *ma «МА» Мы в ностратическом. Исследования по славянским языкамю Москва. 1971. 396-406.

Иллич-Свитыч Влалимир М. Опыт сравнения ностратических языков. Сравнительный словарь. 1-2-3 тт. Москва. 1971-1976-1984.

Klimas, A., Schmalstieg, William, Dambriunas, L., *Introduction to Modern Lithuanian*, (Brooklyn/New York, 1966/1972).

III Конференция по теоретическим вопросам языкознания, Доклады, МГУ, Москва, 1988.

Либерис, А., *Литовско-русский словарь*, Вильнюс, 1988.

Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока, Материалы конференций, МГУ, Москва, 1984, 1989, 1994.

Маслов, Юрий С., *Очерки по аспектологии*, ЛГУ, Ленинград, 1984.

Martinet, A., *Des steppes aux oceans: L'indo-Europeen et les indoeuropeens*, ed. P. Payot, Paris, 1986.

მაჭავარიანი გივი, სვანური ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის, თსუ, თსუ შრომები, 93, თბილისი, 1960.

მახარაძე ნელი, საერთოქართველური *R/*R ძირის ეტიმოლოგიურ-სემანტიკური რაობისთვის. მზია ანდრონიკაშვილის საიუბილეო კრებული. აღმოსავლეთმც. ინსტ., აზიისა და აფრიკის ინსტ. (*The root *R in IE/K*), თბილისი, 2000//2004, 132-143.

НЗЛ-Новое в зарубежной лингвистике, Вып. 21, *Новое в современной индоевропеистике*, Москва, 1988; Вып. 6., *Языковые контакты*, Москва, 1972.

Ностратические языки и ностратическое языкознание, Межд. Конференция, Тезисы, МГУ, Москва, 1077.

Nyberg, H. S., *A Manual of Pahlavi*, P. II, *Glossary*, (Wiesbaden, 1974; (P. I. 1964, *Texts*));

ონიანი, ალექსანდრე, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები. თბილისი. 1989.

ონიანი, ალექსანდრე, სვანური ენა, თბილისი, 1998.

Orr, R. A., Russo-Goedelic syntactic parallel: U nego svoya izba postavlena/Ta se deante agam, *General Linguistics*, v. 29, N1, N-Y, 1989, 1-21;

Palmaitis, Levon, Indo-European masdar as the 3th person and YRA in Baltic, *Baltistica*, XX, 2, (Vilnius, 1984).

Palmaitis, Levon, Karthwelologische Miszellen, *Georgica*, 7, t. 9, 14 (Tbilisi, 1984, 1986);

Palmaitis, L. Michai, Rec. ag. op. Gamkrelidze-Ovanov, 1984, *IF*, B. 3, (Leiden-Koln, 1988);

Периханян Анаида, Общество и право Ирана в парфянский и сасанидский периоды, (*Iran society and law, Dictionary*), Москва, 1983.

Прохорова С. М. Результаты балто-славянских контактов на синтаксическом уровне. *International Conference on Baltic Studies*, (Vilnius, 1991).

Прохорова С. М. О так называемых синтаксических балтизмах. *Baltistica*, т. 24, III, Vilnius, 1988.

Прохорова С. М. Синтаксис переходной русско-белорусской зоны: ареально-типологическое исследование. Минск. 1991.

Расторгуева Вера С., Эдельман Джой И., Этимологический словарь иранских языков. т. I, Moskva, 2000.

Rosinas, A., *Baltu Kalbu Ivardziani*, (Vilnius, 1988) 246-253;

Rosinas, A. Suchestvovali li pritzatelnie mrstoimenia v obschchebaltiskom? *Balto-Slavianskie Issledovania*, (Moskva, 1983/1984);

Sakhokia Maia, Diachronic Morphosyntax and Morphological Deep-Reconstructions by Geographic Space “Iran” and “Caucasus”, *Orientalist*, III, Oriental Instituts, (Tbilisi, 2005/2006), 19-32.

Sakhokia Maia, Diachronic Typology and Deep-Reconstructions un Morpho-Syntax. *Logic in Language, Proceedings of the Second Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation*. Ed. by E. Cooper and T. Gamkrelidze, (Amsterdam/Tbilisi, 1997//1998).

Сахокия Майя, *Посессивность, переходность и эргативность*, (Тбилиси, 1985), Изд. Мецниереба;

სახოკია მაია, *დიაქრონიული ტიპოლოგია მორფოსინტაქსში: ინდოევროპული/ქართველური, სადოქტორო დისერტაცია და ავტორეფერატი*, თსუ გამომც. (თბილისი, 1998);

Sakhokia Maia, *Research Collection*, I., Orient. Inst. (Tbilisi, 2007); Maia Sakhokia, Diachronic Typology and Deep-Reconstructions un Morpho-Syntax. *Logic in Language, Proceedings of the Second Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation*. Ed. by E. Cooper and T. Gamkrelidze, (Amsterdam/Tbilisi, 1997//1998);

Сахокия М., Морфосинтаксические общности индоевропейских и картвельских языков. Ностратика, индоевропеистика, Славистика, К 60-летию В. А. Дыбо, Доклады, МГУ, Москва, 1991. Morphosintaksicheskie obschnosti indoevropskikh I kartvelskix yazykov, *Nostratica, Indoevropеistika, Slavistika, K 60-V. A. Dibo, Dokladi (Proceedings)* MSU (MGU), Moskva, 1991.

სახოკია მათა, ახალქართული აღწერითი პერფექტების დიაქრონიულ-ტიპოლოგიური ანალიზი: აღწერითი პარადიგმა, *ენათმეცნიერების საკითხები*, II, თსუ, თბილისი, 2008. 112–135.

სახოკია მათა, ქართული ერგატივის ტიპოლოგიისათვის (შემაჯამებელი მოსაზრებები). *ენათმეცნიერების საკითხები*, თსუ ჰუმ. ფაკ. თსუ, 2013, 299–304.

სახოკია მათა, ძველი სპარსულის ფორმები და ფუნქციები: დიაქრონიულ-ტიპოლოგიური მიმოხილვა. *ენათმეცნიერების საკითხები*. 2011. თსუ ჰუმ. ფაკ. თსუ. თბილისი. 2011. 216–240.

Sakhokia Maia, New Analytical Perfects of Modern Georgian in Computeral Descriptions, *Proceedings IV Symp. LLC*, (Amsterdam-Tbilisi, 2003).

სახოკია მათა, ძირები *r/r* ინდოევროპულში და ქართველურში. Maia Sakhokia, One root in Indo-European and Karthwelian: *R/*R if verbs “to be”, “to have” (on Georgian), *ალ. ფოცხიშვილი 80*. თსუ. *Al. Potskhishvili 80 Collection*, თბილისი, Tbilisi, 2005.

Sakhokia Maia, Diachronic Morphosyntax and Morphological Deep-Reconstructions by Geographic Space “Iran” and “Caucasus”, *Orientalist*, III, Oriental Instituts, Tbilisi, 2005/2006. 19-32.

Schmalstieg W.R., Dambriunas. L. Introduction to Modern Lithuanian. Brooklyn, N-Y., 1966, 1972. pp. 264, 260-266, 261, 158, 122-123.

Schmalstieg William, L. Dambriunas, *Introduction to Modern Lithuanian*, Brooklyn/New York, 1980.

Schmalstieg William, *Indo-European Linguistics, A new Synthesis*, Pennsylvania, London, 1980.

Schmalstieg William, *Ergativity in Indo-European*, (Pennsylvania, 1982);

Schmalstieg William, *A synthetic comparison of Old Armenian and Lithuanian, The case of the passive participles*, Pennsylvania, 1982.

Schmalstieg William, The shift intransitive to transitive passive in the Lithuanian and Indo-European verb. *Baltistica*, XVIII, 2, Vilnius, 1982);

Schmalstieg William, A syntactic comparison of Old Armenian and Lithuanian, The passive participles, *Международный симпозиум по фръмянскому языкознанию, 1982. Доклады*, (Ереван, 1984);

Schmalstieg William, *Lithuanian Historical Syntax*, (Columbus, Ohio, 1987-1988), 1-113, 189-192, 229-231, 194-195; William Schmalstieg, the ergative function of the Proto-Indo-European genitive, *The Journal of IE Studies*, v. 14, N 1-2, (N-Y, 1986) 161-172;

Schmalstieg William, The genitive of Agent vs the instrumental of means and Old idea worth retaining, *GL*, v. 29, N4, (N-Y, 1989);

Sifting the Evidence Current Issues in Linguistic Theory, Amsterdam Studies in the Theory and History of Linguistic Science, vol. 142, I- *The Nature and Status of Nostratic*; II- *The Mathematics of Nostratic*, (Amsterdam/Philadelphia, 1998), Ed. by C. Salmons, B. D. Joseph, J. Benjamins publ. Company;

Славистика, Индоевропеистика, Нностратика, К 60-летию В. А. Дыбо, Доклады конференции, МГУ, (Москва, 1991);

Сравнительно-историческое исследование языков, Современное состояние и перспективы, Международная конференция, Доклады, МГУ, РГУ (Москва, 2003);

Сравнительно-историческое изучение языков разных семей, Современное состояние и проблемы, Индоевропейские языки, (Москва, 1981), *Картвельские языки* (Москва, 1982);

Сравнительно-историческое языкознание на современном этапе, Памяти В. М. Иллича-Свитыча, Межд. Конференция, Материалы, МГУ, (Москва, 1990);

Станг, Константин, Третье лицо глагола «быть» в литовском и латвийском языках. *Вопросы теории и истории языка*, Ленинград, 1963. 285-288.

Toporov V. N., Lit. YRA, lett. IR und ihre Vorgangenheit im Lichte der Geshichte und der Linguistischen Typologie, *Zeitschrift fur Slawistik, Beitrage zur Baltistic*, II, N5, B. XXIII, (Leiden, 1978);

Старостин Сергей, О доказательстве языкового родства, *Типология и история языка, От описания к объяснению, К 60-летию Ф. У. Кибрика*, Изд. МГУ, (Москва, 1999);

Старостин Сергей, Сравнительно-историческое языкознание и лексикостатистика, *Лингвистическая реконструкция и древнейшая история Востока*, ч. I., МГУ, (Москва, 1989);

Старостин Сергей, Дыбо Анна, Мудрак С., Алтайский этимологический словарь, *Altaic Etymological Dictionary*, Москва, 2004.

Стелле А., Страуме А., Лиепиньш П., *Изучаем латышский язык*, Рига, 1989. В. П. Сташайтене, *Русско-литовский разговорник*, Вильнюс, 1989.

Степанов Юрий С., *Индоевропейское предложение*, Наука, (Москва, 1989);

Степанов Юрий С., Индоевропейское предложение, Лексические вхождения в ступтурные схемы, *Вопросы языкознания (ВЯ)*, 1, (Москва, 1988) 6 46-65;

Степанов Юрий С., Балто-славянское и индоевропейское предложение, Проблемы реконструкции, *Балтистика*, 24, 2, Вильнюс, 1988, 116-130.

Toporov V. N., Lit. YRA, lett. IR und ihre Vorgangenheit im Lichte der Geshichte und der Linguistischen Typologie, *Zeitschrift fur Slawistik, Beitrage zur Baltistic*, II, N5, B. XXIII, (Leiden, 1978).

Tuite, Kevin T. Number Agreement in Georgian. Dussertation. Chicago Univ. Chicago. 1988.

Худобашев, Ал. Армяно-русский словарь. I-II, Москва, 1938//1986.

ჩიქობავა მერი, ქართული „კონა“ ზმნის ეტიმოლოგიისთვის და სემანტიკური რეკონსტრუქციისთვის. *ტიპოლოგიური ძიებანი*. On the etimology and semantic reconstruction of georgian “kona” “to have”, *Typological Researches, Typological Researches*, IV, ოლიას უნივ. აღმ. ინსტ. Illia Univ. თბილისი. Tbilisi, 2000. 446-453;

Veenker W., *Die Frage des finno-ugrischen Substrats in der sussischen Sprache*, Bloomington, 1967.

Maia Sakhokia

**Some Morphosyntactical-Morphonological Diachronic-Typological
Parallels by Range Karthvelian/Indo-European**

The conclusions represented are revealed on the basis of partial morphosyntactic typological comparison of K(G)-(Karthvelian, Georgian) and different IE (Indo-European) Languages. Some identical data of K(G) and IE seem important. We can see that the formal morphosyntactic clusterings may be repeated on the different language levels as an original diachronical phenomenon, and as a typological universal phenomenon simultaneously. The partial typological parallels of formal morphosyntactical sequences, fragments, complexes, constructions of K(G) and IE languages are mentioned here in the first place in view of both typological and diachronical universals. All these typological data may be interpreted as grammatical features of deep genetic relationship of so called macro-language families too. I have singled out different sequences of formal morphosyntactic clusterings in IE and G(K) being relevant for both partial typological comparison or deep-reconstructions of morphosyntactical grammatical structures. I'd like to represent here only some the most important and clear questions. The Diachronic Typological polygenetic morphosyntactic models in spaces IE/K are revealed: the possessive analytical ergative perfects, the oblique possession (*verba habendi*), the affective oblique verbs (*verba sentiendi. verba mentalis*), the personal objective markers (clitical morphs), etc. The IE data represent the important material basis to examine and codify identical morphosyntaxemes. On the other hand, the morphonological data, as IE (B)/K roots *R/*R (the verbs "to be/to have") seem very interesting by wide diachronic typological linguistic ranges. There is to discuss the questions of the nostratic oblique markers:*m (the nostratic oblique . personal marker) and *N (the marker for IE/K oblique cases) too .